სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სანდრო გიორგაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	15	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	16	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	2	5
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	80	100

თარიღი : 17.04.2024

ტრისტან ზენაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ტრისტან ბენაშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის სანდრო გიორგაშვილის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებული რაიონულ (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატის **სანდრო გიორგაშვილის** შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

შეფასების დასაბუთება ეფუძნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით კანდიდატების შესახებ მოძიებულ სანდო ინფორმაციას და 2024 წლის 2 სექტემბერს, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებული სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში 2024 წლის 4 სექტემბერს კანდიდატთან **სანდრო გიორგაშვილთან** წარმართულ საჯარო მოსმენას.

<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმით</u> რაიონული (საქალაქო) სასამართლოების კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის **სანდრო გიორგაშვილის** შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. სანდრო გიორგაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების

სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 – 2024 წლებში სანდრო გიორგაშვილს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 8 ფაქტი. დაკისრებული სანქციები გადახდილია დროულად.

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ. გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, საიმედოობას, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას და ა.შ.. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო კორექტული. არსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს შეგნებული აქვს მისი პირადი და პროფესიული მოვალეობები.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

გამოკითხული რესპოდენტები რეკომენდატორები სანდრო გიორგაშვილს აფასებენ, როგორც პრინციპულ, მიუკერძოებელ, დამოუკიდებელ და პიროვნულად მტკიცე პიროვნებას.

სანდრო გიორგაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი. თუმცა მოძიებული ინფორმაციის თანახმად 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე სანდრო გიორგაშვილი ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად იქნა წარდგენილი ოპოზიციური პარტიისგან შემდგარი ბლოკის მიერ.

გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

კანდიდატს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და რესპოდენტები, კერძოდ გამოკითხული რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიანი, თავდაჭერილი პიროვნება.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, სანდრო გიორგაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის

კანდიდატის სანდრო გიორგაშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემიძლია დადებითად შევაფასო კანდიდატის პიროვნული და პროფესიული ქცევა.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

გამოკითხული რეკომენდატორების და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, კანდიდატი ხასიათდება მაღალი რეპუტაციითა და ავტორიტეტით.

ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ და ნაკლოვანებად უთითებს ზოგიერთ შემთხვევაში, კანდიდატის გადაჭარბებულ ლმობიერებას.

სანდრო გიორგაშვილთან დაკავშირებით ინტერნეტში იძებნება ინფორმაცია მისი მოსამართლეობის კანდიდატობის, საპროკურორო საქმიანობის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატობის შესახებ.

5. ფინანსური ვალდებულება:

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, სანდრო გიორგაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მომდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. კანდიდატის სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება: ძიწის ნაკვეთი 2522;კვ.მ. 30000; კვ.მ. 12572კვ.მ. 9897 კვ.მ; 689 კვ.მ; ყვარელში სოფელი გავაზი. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

მიმაჩნია რომ, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, არ არსებობს კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობასა და კეთილსინდისიერებას.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმით</u> რაიონული (საქალაქო) სასამართლოების კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის **სანდრო გიორგაშვილის** (როგორც სამოსამართლო უფლებამოსილების მქონე კანდიდატის) შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს

ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით და ამავე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. სამართლის ნორმების ცოდნა - აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ განხილული, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმის შესწავლით შედეგად მიღებულ ინფორმაციას და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.

შეფასების პროცესში შესწავლილი იქნა სანდრო გიორგაშვილის მიერ განხილული, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმე, კერძოდ: გურჯაანის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმე №2/357-2003, 12 დეკემბერი, 2003 წელი; გურჯაანის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმე №2/249-2003, 8 სექტემბერი 2003 წელი; გურჯაანის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე №1/86-2004, 13 ოქტომბერი 2004 წელი; გურჯაანის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე №1/36-2004, 17 ივნისი 2004 წელი; გურჯაანის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე -2004 წლის 30 ივნისი.

კანდიდატის მიერ განხილული საქმეების შესწავლის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ სანდრო გიორგაშვილი როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას.

საჯარო მოსმენებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები.

სანდრო გიორგაშვილის საჯარო მოსმენით მიღებულ ინფორმაციის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა ხშირ შემთხვევაში ვერ გასცა პასუხი სამართლებრივ საკითხებზე დასმულ შეკითხვებს. მაგალითად, ვერ განმარტა სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი, არასრულად ჩამოთვალა უშუალო დემოკრატიის ფორმები, მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, ვერ განმარტა უკიდურესი აუცილებლობის სახეები, ტრაგიკული კოლიზიის არსი, ვერ გამიჯნა არადამიანური მოპყრობის და ღირსების შემლახავი მოპყრობის დამახასიათებელი ნიშნები და სხვა.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი საშრომების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.

სანდრო გიორგაშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 11 წლის გამოცდილება.

გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ კანდიდატი ნაკლებად იცნობს სამართლის თეორიულ საკითხებს, მან მთელ რიგ შემთხვევებში ვერ უპასუხა სამართლებრივ საკითხებზე დასმულ შეკითხვებს.

3. წერის უნარი - <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზს, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u>

სანდრო გიორგაშვილის მიერ განხილული საქმეების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ნათლად იკვეთება, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი, რაც გამოიხატება იმაში, რომ მის მიერ შედგენილ წერილობით დოკუმენტებში ნათლად და ადვილად იკითხება დოკუმენტის ძირითადი შინაარსი, ნაკლებად იყენებს რთულ წინადადებებს. შესწავლილ დოკუმენტებში რაიმე მნიშვნელოვანი ან თვალსაჩინო შეცდომები არ ფიქსირდება, თუმცა, შეინიშნება პუნქტუაციური და სტილისტური უზუსტობები. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთაგან ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს სანდრო გიორგაშვილის სამართლებრივი დოკუმენტების მაღალი სტანდარტით შესრულების შესაძლებლობაზე.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u>

მიმაჩნია, რომ კანდიდატი ძირითადად მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ გაწონასწორებულია; გააჩნია დასმული შეკითხვის არსის აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი; ზოგადად, დატოვა კორექტული ადამიანის შთაბეჭდილება; კანდიდატი აზრს გადმოსცემს ძირითადად თანმიმდევრულად; გამოკითხული რეკომენდატორები სანდრო გიორგაშვილს აფასებენ, როგორც კომუნიკაბელურ პიროვნებას, რომელსაც შეუძლია აზრის ნათლად და ლაკონიურად გადმოცემა.

5. <u>პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)</u> - <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის შესახებ არსებულ სტატისტიკურ ინფორმაციას საქმეთა განხილვის თაობაზე, პრესასა და მედია საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციას, მის ქცევას სასამართლო სხდომის წარმართვისას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u>

შეიძლება ითქვას, რომ სანდრო გიორგაშვილი მიზანდასახული, პრინციპული, ემოციურად გაწონასწორებული, კეთილსინდისიერი, თავშეკავებული პიროვნებაა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული რეკომენდატორები სანდრო გიორგაშვილს აფასებენ, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, შრომისმოყვარე, პუნქტუალურ,

ენერგიულ და მოტივირებულ თანამშრომელს. აღნიშნავენ, რომ არის დიპლომატი და კარგი თანამოსაუბრე, ამასთანავე ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუტედ და ნაკლოვანებად ასახელებს მის გადაჭარბებულ ლმობიერებას.

სანდრო გიორგაშვილი თანამდებობიდან გათავისუფლდა 2004 წელს, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას მოიძიოს და დაამუშაოს სტატისტიკური ინფორმაცია მისი გურჯაანის რაიონულ სასამართლოში საქმიანობის შესახებ, ასევე შეაფასოს კანდიდატი სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებელი. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე, მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებები</u>.

სანდრო გიორგაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში (სემინარი სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის თემაზე - საქართველოს გენერალური პროკურატურა, სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი) - საქართველოს გენერალური პროკურატურა 2018 წ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - საქართველოს გენერალური პროკურატურა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - საქართველოს გენერალური პროკურატურა). ამასთან, როგორც გამოკითხული რეკომენდატორები აღნიშნავენ, სანდრო გიორგაშვილი მოწოდებულია თეორიული ცოდნის გაღრმავებისკენ, აქვს თვითგანვითარების უნარი, მიღებულ ცოდნას იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

7. პროფესიული აქტივობა – <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარს, იდეებისა და წინადადებების წამოყენებას, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციებს, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მის დამსახურებას. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მის მონაწილეობას, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვას</u>.

სანდრო გიორგაშვილი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 80 ქულას.

თარიღი : 27.09.2024 წ

ხელმოწერა: